ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს
2015 წლის 27 ნოემბრის სხდომის

ო ქ მ ი # 7
სადისერტაციო საბჭოს სხდომას 42 წევრიდან ესწრებოდა 22 წევრი.

დღის წესრიგი

1. დოქტორანტ მარეხ დევიძის მიერ „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირების" სადოქტორო პროგრამიდან „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სადოქტორო პროგრამაზე გადასვლისა და, შესაბამისად, სადისერტაციო თემის: „ლოკალურ-კოსმოპოლიტური ორიენტაციის დონეების განსაზღვრა ორგანიზაციის კონფლიქტების პრევენციისთვის" სადოქტორო პროგრამასთან თავსებადობის საკითხი.
2. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ჯაბა ურუტაძისთვის სამეცნიერო თემის მეორე ხელმძღვანელად ტალინის უნივერსიტეტის მკვლევრის, ლაური ლიპეკის დანიშვნა.
3. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის მეხუთე სემესტრის დოქტორანტ თინათინ დავითურისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენა.
4. პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტ ლევან ხუციშვილისთვის სადისერტაციო თემის სათაურის დამტკიცება და სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნა. სადისერტაციო თემის სათაური - „მონაწილეობითი ურბანული პოლიტიკის როლი ურბანული კრიზისების მართვაში". სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი;
5. პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტ ნინო ნაჭყებიასთვის სადისერტაციო თემის სათაურის დამტკიცება და სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნა. სადისერტაციო თემის სათაური - „ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის გავლენა სახელმწიფო სექტორის მუშაობის ეფექტურობაზე", სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი;
6. პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტ თამარ ქარაიას სადისერტაციო ნაშრომის ადგილობრივი შემფასებლის შეცვლის საკითხი. ოლივერ რაისნერის ნაცვლად,

რომელმაც საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ ვადებში არ მოგვაწოდა რეცენზია სადისერტაციო ნაშრომზე, ადგილობრივ შემფასებლად ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ოთარ ჯანელიძის დანიშვნა.

7. მასობრივი კომუნიმაციის მიმართულების დოქტორანტ ეკატერინე ბასილაიასთვის სადოქტორო ნაშრომის სათაურის „რელიგიური საკითხების ფრეიმინგი ქართულ მედიაში" შეცვლა და შემდეგი სათაურის დამტკიცება: „აგონისტური მედია პლურალიზმის გრძელვადიანი კვლევა ხუდონ ჰესის საკითხებთან დაკავშირებით საბჭოთა პერიოდიდან დღემდე (1979-2014)."

მოისმინეს: 1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მ. შ. ლია წულაძემ საბჭოს წევრების წინაშე დააყენა დოქტორანტ მარეხ დევიძის მიერ „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირების" სადოქტორო პროგრამიდან „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სადოქტორო პროგრამაზე გადასვლისა და, შესაბამისად, სადისერტაციო თემის: „ლოკალურ-კოსმოპოლიტური ორიენტაციის დონეების განსაზღვრა ორგანიზაციის კონფლიქტების პრევენ-ციისთვის" სადოქტორო პროგრამასთან თავსებადობის საკითხი. ლ. წულაძემ საბჭოს წევრებს ასევე მოახსენა, რომ მ. დევიძის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლასთან დაკავშირებით არსებობს რექტორის ბრძანება.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ. მაცაბერიძემ და რ. ჯორბენაძემ.

რ. ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ დოქტორანტ მარეხ დევიძის თემა სრულ თავსებადობაშია „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სადოქტორო პროგრამასთან.

დაადგინეს: დოქტორანტ მარეხ დევიძის სადისერტაციო თემა: „ლოკალურ - კოსმოპოლიტური ორიენტაციის დონეების განსაზღვრა ორგანიზაციის კონფლიქტების პრევენ-ციისთვის" თავსებადია „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სადოქტორო პროგრამასთან.

მოისმინეს: 2. ლ. წულაძემ სადისერტაციო საბჭოს წინაშე დააყენა პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ჯაბა უროტაძისთვის სამეცნიერო თემის მეორე ხელმძღვანელად ტალინის უნივერსიტეტის მკვლევრის, ლაური ლიპეკის დანიშვნის საკითხი. ლ. წულაძემ საბჭოს წევრებს გააცნო საბჭოს სახელზე შემოსული ჯ. უროტაძის განცხადება, რომელსაც თან ერთვოდა ლაური ლიპეკის თანხმობის წერილი და ბიოგრაფიული მონაცემები.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორებმა: ს.დუნდუამ და ნ. დონაძემ;

ს. დუნდუამ განაცხადა, რომ უცხოელი მეცნიერის მეორე ხელმძღვანელად დანიშვნა ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას და ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია.

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ჯაბა ეროტაძეს სამეცნიერო თემის მეორე ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს ტალინის უნივერსიტეტის მკვლევარი, ლაური ლიპეკი.

მოისმინეს: 3. ლ. წულაძემ სადისერტაციო საბჭოს წინაშე დააყენა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის მეხუთე სემესტრის დოქტორანტ თინათინ დავითურისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი. ლ. წულაძემ საბჭოს წევრებს გააცნო აღნიშნულთან დაკავშირებით არსებული რექტორის ბრძანება.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა: ნ. დონაძემ

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის მეხუთე სემესტრის დოქტორანტ თინათინ დავითურს აღუდგეს სტუდენტის სტატუსი.

მოისმინეს: 4. ლ. წულაძემ სადისერტაციო საბჭოს წინაშე დააყენა პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტ ლევან ხუციშვილისთვის სადისერტაციო თემის სათაურის დამტკიცების და სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის საკითხი. დოქტორანტის სადისერტაციო თემის სათაურია - „მონაწილეობითი ურბანული პოლიტიკის როლი ურბანული კრიზისების მართვაში". სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი;

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა: მ. მაცაბერიძემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ. მელიქიძემ

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტ ლევან ხუციშვილს სადისერტაციო თემის სათაურად დაუმტკიცდეს „მონაწილეობითი ურბანული პოლიტიკის როლი ურბანული კრიზისების მართვაში".

სამეცნიერო ხელმძღვანელად დაენიშნოს პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი;

მოისმინეს: 5. ლ. წულაძემ სადისერტაციო საბჭოს წინაშე დააყენა პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტ ნინო ნაჭყებიასთვის სადისერტაციო თემის სათაურის დამტკიცების და სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის საკითხი. სადისერტაციო თემა - „ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის გავლენა სახელმწიფო სექტორის მუშაობის ეფექტურობაზე", სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი;

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორებმა ნ. მაჭარაშვილმა და ს. დუნდუამ

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტ ნინო ნაჭყებიას დისერტაციის თემის სათაურად დაუმტკიცდეს „ადმინისტრაციული დეცენტრალიზაციის გავლენა სახელმწიფო სექტორის მუშაობის ეფექტურობაზე"; სამეცნიერო ხელმძღვანელად დაენიშნოს პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი ნანა მაჭარაშვილი.

მოისმინეს: 6. ლ. წულაძემ სადისერტაციო საბჭოს წინაშე დააყენა პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტ თამარ ქარაიას სადისერტაციო ნაშრომის ადგილობრივი შემფასებლის შეცვლის საკითხი. ლ. წულაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ადგილობრივ შემფასებლად საბჭოს მიერ გამოყოფილმა ოლივერ რაისნერმა სადისერტაციო საბჭოს არ წარუდგინა რეცენზია თამარ ქარაიას ნაშრომზე. სადისერტაციო საბჭოს მდივანმა მას ელფოსტის მეშვეობით შეახსენა, რომ საბჭოს მიერ რეცენზირებისთვის გამოყოფილი ვადები ამოწურული იყო. მიუხედავად დაპირებისა, ოლივერ რაისნერმა რეცენზია არ გადმოაგზავნა. სადისერტაციო საბჭოს სახელზე შემოსულია პოლიტიკის მეცნიერების სპეციალიზირებული სექციის ხელმძღვანელის, მ. მაცაბერიძის წერილი, სადაც სპეციალიზირებული სექცია თხოვს სადისერტაციო საბჭოს, რომ თამარ ქარაიას ადგილობრივ შემფასებლად ოლივერ რაისნერის ნაცვლად გამოეყოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ჯანელიძე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა რ. ჯორბენაძემ; ასოცირებულმა პროფესორებმა ვ. მელიქიძემ და ს. დუნდუამ.

ვ. მელიქიძემ აღნიშნა, რომ რადგან ოლივერ რაისნერს არ გადმოუგზავნია რეცენზია თამარ ქარაიას სადისერტაციო ნაშრომზე, ხოლო რეცენზირებისთვის დადგენილი ვადები ამოწურულია, აუცილებელია მისი სხვა რეცენზენტით ჩანაცვლება.

ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ის დაუკავშირდა ოლივერ რაისნერს და შეახსენა, რომ რეცეზირების ვადა ამოწურული იყო. ო. რაისნერმა ელფოსტის მეშვეობით გამოაგზავნა წერილი, რომელშიც იგი უახლოეს დღეებში რეცენზიის გადმოგზავნას შეგვპირდა, თუმცა, მან რეცენზია მაინც არ გადმოაგზავნა.

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტ თამარ ქარაიას ოილივერ რაისსნერის ნაცვლად სადისერტაციო ნაშრომის ადგილობრივ შემფასებლად გამოეყოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ჯანელიძე. Email: otar janelidze@yahoo.com

ტელ: **599540195**

მოისმინეს: 7. ლ. წულაძემ სადისერტაციო საბჭოს წინაშე დააყენა მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების დოქტორანტ ეკატერინე ბასილაიასთვის სადოქტორო ნაშრომის სათაურის „რელიგიური საკითხების ფრეიმინგი ქართულ მედიაში“ შეცვლის და შემდეგი სათაურის: „აგონისტური მედია პლურალიზმის გრძელვადიანი კვლევა ხუდონ ჰესის საკითხებთან დაკავშირებით საბჭოთა პერიოდიდან დღემდე (1979-2014)“ დამტკიცების საკითხი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა რ. ჯორბენაძემ; ასოცირებულმა პროფესორებმა ვ. მელიქიძემ, მ. ბურძენიძემ და ლ. წულაძემ

ვ. მელიქიძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ საბჭოს სახელზე შემოსული განცხადების საფუძველზე, რეალურად, ეკატერინე ბასილაია ითხოვს არა თემის სათაურის შეცვლას, არამედ მთლიანად თემის შეცვლას, რასაც, გარდა დოქტორანტის განცხადებისა, თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი სადოქტორო პროგრამის დარგობრივი სექციის სხდომის ოქმიც.

ლ. წულაძემ განაცხადა, რომ ეკატერინე ბასილაია, რეალურად იცვლის თემას. სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში, საჭიროა დარგობრივი სექციის ოქმი. მსგავსი ოქმი სადისერტაციო საბჭოში არ შემოსულა, შესაბამისად, ეკატერინე ბასიალაისთვის თემის შეცვლის საკითხს მოცემულ ეტაპზე ვერ დავამტკიცებთ.

დაადგინეს: მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ეკატერინე ბასილაიას სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-7 პუნქტის მე-5 მუხლის საფუძველზე უარი ეთქვას სადოქტორო თემის შეცვლაზე.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ლია წულაძე, ასოცირებული პროფესორი

სადისერტაციო საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი: სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

2015 წ. 27 ნოემბრის ოქმის

№	გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ბერძენიშვილი	ამირანი	პროფესორი	
2	გაჩეჩილაძე	რევაზი	პროფესორი	
3	გერსამია	მარიამი	პროფესორი	
4	გოგსაძე	გიორგი	პროფესორი	
5	დავითაშვილი	ზურაბი	პროფესორი	
6	კაკაჩია	კორნელი	პროფესორი	
7	კაჭკაჭიშვილი	იაგო	პროფესორი	
8	კუხიანიძე	ალექსანდრე	პროფესორი	
9	ლორთქიფანიძე	ვაჟა	პროფესორი	
10	მაცაბერიძე	მალხაზი	პროფესორი	
11	ოსეფაშვილი	დალი	პროფესორი	
12	ჯორბენაძე	რევაზ	პროფესორი	
13	ბელქანია	ნოდარ	პროფესორი	
14	მაღრაძე	გუგული	პროფესორი	
15	სალუქვაძე	იოსები	პროფესორი	
16	ასანიშვილი	ფიქრია	ასოცირებული პროფესორი	
17	ბიჭიკაშვილი	ირა	ასოცირებული პროფესორი	
18	ბოკერია	მარინე	ასოცირებული პროფესორი	

19	გაფრინდაშვილი	ლელა	ასოცირებული პროფესორი	
20	დოლბაია	თამარი	ასოცირებული პროფესორი	
21	დუნდუა	სალომე	ასოცირებული პროფესორი	
22	დურგლიშვილი	ნინო	ასოცირებული პროფესორი	
23	ვაშაკიძე	რუსუდანი	ასოცირებული პროფესორი	
24	თურმანიძე	თორნიკე	ასოცირებული პროფესორი	
25	იაშვილი	ია	ასოცირებული პროფესორი	
26	კაპანაძე	სერგი	ასოცირებული პროფესორი	
27	კუპრაშვილი	ნათია	ასოცირებული პროფესორი	
28	მაჭარაშვილი	ნანა	ასოცირებული პროფესორი	
29	მახარაძე	თამარი	ასოცირებული პროფესორი	
30	მელიქიძე	ვალერიანი	ასოცირებული პროფესორი	
31	პავლიაშვილი	ნინო	ასოცირებული პროფესორი	
32	ჟორჟოლიანი	გია	ასოცირებული პროფესორი	
33	საბედაშვილი	თამარი	ასოცირებული პროფესორი	
34	ტალახაძე	ნანული	ასოცირებული პროფესორი	
35	ტორაძე	მაია	ასოცირებული პროფესორი	
36	ქეცბაია	კახა	ასოცირებული პროფესორი	
37	შამილიშვილი	მანანა	ასოცირებული პროფესორი	

38	წერეთელი	მარი	ასოცირებული პროფესორი	
39	წულაძე	ლია	ასოცირებული პროფესორი	
40	ჯოლოგუა	თამაზი	ასოცირებული პროფესორი	
41	ბურძენიძე	მარინა	ასოცირებული პროფესორი	
42	დონაძე	ნათელა	ასოცირებული პროფესორი	